პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 130 (10827) | შაბათი, 4 ივნისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს   ნ ო მ ე რ შ ი ა:

სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე გამოცდილების საგანძური. გუშინ გაიხსნა 1957 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენები. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა (1-ლი და მე-2 გვერდი).

რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეთა თათბირი (მე-2 გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).

ოქტომბრის გზაზე. — ვ. ი. ლენინის გამოსვლა გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე (მე-3 გვერდი).

თეატრი. — ბ. თათარიშვილი. — ამიერკავკასიის „თეატრალური გაზაფხულის“ პირველი სპექტაკლი (მე-3 გვერდი).

ბ. ბახტურიძე — აზერბაიჯანიდან ჩამოსულნი „თეატრალური გაზაფხულის“ მონაწილენი (მე-3 გვერდი).

125.000 ტონა ხარახურა[illegible] — ალეკვეთოთ დარღვევები [illegible] ფოთლის კრეფაში (მე-3 გვერდი).

გ. ლუარსაბიძე. — თბილისის მოსახლეობისათვის (მე-4 გვერდი).

სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე გამოცდილების საგანძური

★ ★ ★

## გუშინ გაიხსნა 1957 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენები

2 ივნისის კვირადღე ღრუბლიანი გათენდა. დროდადრო წვიმა ცრიდა. მიუხედავად ამისა, იაროსლავლის გზატკეცილზე გამოფენის ქალაქისაკენ ადრე დილიდანვე დაიძრა მოსკოველთა და გამოფენების გახსნის დღესასწაულზე დედაქალაქში ჩამოსულ სტუმართა ნაკადი. ზედიზედ მოდიან ტროლეიბუსები, ავტობუსები, მოჰქრიან მსუბუქი მანქანები. დღესასწაულზე ჩამოვიდნენ დელეგაციები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან. სტუმრებს შორის არიან მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების თანამშრომლები.

წვიმით განბანილი მწვანე ბალახი განსაცვიფრებლად ცოცხალი და რაღაც თავისებურად მიმზიდველია. ხეივნებსა და გაზონებს იქით კი თვალწინ იშლება შესანიშნავი ქალაქი, სადაც ტრადიციად იქცა ყოველწლიურად თავი მოუყარონ ყოველივე საუკეთესოს იქიდან, რაც შექმნილია ჩვენი ხალხის — კომუნიზმის მშენებელი ხალხის შრომითა და ნიჭით.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა დამსახურებულად მიაჩნიათ სახალხო უნივერსიტეტად. ჩვენი ქვეყნის ყველაზე შორეული კუთხეებიდან ჩამოდიან აქ ადამიანები, რათა გაუზიარონ სხვებს თავიანთი გამოცდილება და გადაიღონ სხვებისგან ის, რაც კი მათ კარგი აქვთ. მეორე წელია სახალხო უნივერსიტეტში წარმატებით მუშაობენ ახალი ფაკულტეტები — სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენის პავილიონები და განყოფილებები. ისინი იმდენად ორგანულად შესულან ჩვენი მეურნეობის მიღწევათა საყოველთაო-სახალხო ჩვენების საერთო ანსამბლში, რომ ზოგჯერ ადამიანს აოცებს: ნუთუ ისინი აქ წინათ არ ყოფილა?

დილაადრიან პავილიონებში ნახავდით სადღესასწაულოდ ჩაცმულ აღელვებულ ადამიანებს. ესენი იყვნენ ექსკურსიამძღოლები და კონსულტანტები, რომლებიც პირველ დამთვალიერებლებს მოელოდნენ. ისინიც ოფიციალურ გახსნამდე ბევრად ადრე გაჩნდნენ წვიმით განბანილ ხეივნებში. მანქანათმშენებლობის პავილიონის აყუ-რულ ელინგში ხშირად გაისმის მომუშავე მანქანების ხმაური. კიდევ და კიდევ სინჯავენ აგრეგატების უზარმაზარ მოძრავ მოდელებს. მათ შორის არის მსოფლიოში უდიდესი, 204 ათასი კილოვატი სიმძლავრის რადიალურ-ღერძიანი ტურბინი, რომელიც იმუშავებს ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურში, ევროპაში უდიდესი ორთქლტურბინის ორთქლისქვაბიანი დანადგარი, რომლის სიმძლავრეა 660 ტონა ორთქლი საათში, უთვალავი ჩარხები, ავტომატები.

დამთვალიერებლები ბევრ ახალ რამეს ნახავენ სასახლე-პავილიონებშიც, მეცხოველეობის ქალაქშიც, საექსპონატო ნათესების ნაკვეთებზეც, რომლებსაც თითქმის 25 ჰექტარი უჭირავთ, ორანჟერეებსა და სათბურებში, სადაც წარმოდგენილია ორი ათასამდე ჯიშის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

...დილის ათი საათია. გამოფენაზე მოვიდნენ ამხანაგები **ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი.** კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ვ. ვ. მაცკევიჩის, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორის ამხ. ბ. ნ. ბოგდანოვისა და სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენის დირექტორის ამხ. ვ. ე. ნოვაკოვსკის თანხლებით დაათვალიერეს რსფსრ, უზბეკეთის სსრ, მსუბუქი მრეწველობის, ჩარხმშენებლობის და მებამბეობის პავილიონები.

მსუბუქი მრეწველობის პავილიონის დათვალიერების დროს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი დაინტერესდა სტენდით, რომელზეც წარმოდგენილია ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილები. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ ხელოვნური ქსოვილები ნაკლებად განსხვავდება ნატურალური შალის ქსოვილებისაგან და მნიშვნელოვნად იაფია. მათი დათვალიერებისას ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა შენიშნა, რომ საჭირო იქნება აქრძალოს საავტომობილო მრეწველობას შალის ქსოვილების გამოყენება ავტომანქანების შიგნითა გაწყობისათვის და შეიცვალოს ისინი ხელოვნური ქსოვილებით. საჭირო იქნება აგრეთვე უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ეს ლამაზი ქსოვილები სუფრების, ფარდაგების და სახალხო მოხმარების სხვა საგნების დასამზადებლად.

...დღის თორმეტი საათია. მთავარ პავილიონთან ფართო საკოლმეურნეო მოედანზე ათასობით ადამიანი შეიკრიბა. ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, რომლებსაც შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

მიტინგს ხსნის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. **ვ. ვ. მაცკევიჩი.** იგი სიტყვას აძლევს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორს ამხ. **ბ. ნ. ბოგდანოვს.**

— პარტიამ და მთავრობამ, — ამბობს ამხ. ბოგდანოვი, — გამოფენას უმნიშვნელოვანესი ამოცანა დაუსახეს: ფართოდ გაუწიოს პროპაგანდა საუკეთესო კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის მოწინავეებისა და ორგანიზატორების გამოცდილებას, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მიღწევებს. გამოფენა მოწინავე გამოცდილების სკოლა უნდა იყოს.

ასრულებს რა ამ ამოცანას, სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ გასული სამი სეზონის მანძილზე მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია. გამოფენა 23 მილიონმა კაცმა ინახულა.

გასული წელი იყო ღირსშესანიშნავი წელი ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა, რასაც დასაბამი მისცა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა. ამას ადასტურებს გამოფენის მონაწილეთა რიცხვის ზრდა. ისინი ოთხასი ათასზე მეტი იქნება. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან ერთად გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება მოიპოვა 46 ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სოფლის მეურნეობის მშრომელებს დაუსახა უმნიშვნელოვანესი ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ. ამ ამოცანას მხურვალედ გამოეხმაურა სოფლის ყველა მშრომელი. ჩვენი გამოფენა უნდა დაეხმაროს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს წარმატებით შეასრულონ ეს პასუხსაგები ამოცანა. გამოფენა ფართო პროპაგანდას გაუწევს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას.

დასასრულ ამხ. ბოგდანოვი მიესალმა ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაციებს, რომლებიც სტუმრად არიან გამოფენაზე.

ტრიბუნაზეა სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენის დირექტორი ამხ. **ვ. ე. ნოვაკოვსკი.**

— სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენა, — ამბობს იგი, — ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყანა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაიქცა, რომ საბჭოთა კავშირს ძალუძს აგოს ყოველი მანქანა, რა რთულიც უნდა იყოს იგი.

ორატორი ლაპარაკობს იმაზე, რომ 1956 წელს სოციალისტური მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკებმა შექმნეს 1.000-ზე მეტი ტიპის ახალი მანქანები, განაგრძობდნენ ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემდგომ შემუშავებასა და ათვისებას. მეცნიერებმა მთელი რიგი ახალი პრობლემები გადაჭრეს. აქედან ბევრი რამ ასახულია 1957 წლის გამოფენაზე. 21 პავილიონში ნაჩვენებია 50 ათასამდე სხვადასხვა ექსპონატი, მათ შორის 1.000-ზე მეტი მანქანა, ჩარხი და აგრეგატი, აქედან ნახევარზე მეტი — პირველად.

— გამოფენაზე, — აღნიშნავს ამხ. ნოვაკოვსკი, — ცენტრალური ადგილი უჭირავს მძიმე მრეწველობისა და მისი გულის — მანქანათმშენებლობის მიღწევებს. ამასთან ერთად ფართოდ ნაჩვენებია მსუბუქი და კვების მრეწველობის მიღწევები.

გამოფენაზე განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დემონსტრაციას.

გამოფენაზე ნაჩვენებია ლენინური პრემიების ლაურეატების, ნოვატორებისა და გამომგონებლების ნამუშევრები. სპეციალურ სტენდებზე ასახულია მრეწველობის მიღწევები საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 40 წლის მანძილზე, პერსპექტივები მრეწველობის განვითარებისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების შესაბამისად.

— ეკონომიური რაიონების მიხედვით მრეწველობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით,—აღნიშნავს დასასრულ ამხ. ნოვაკოვსკი, — სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენას ეკისრება დამატებითი ამოცანა — თავი მოუყაროს ყოველივე მოწინავეს ეკონომიური რაიონებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან, ინსტიტუტებიდან, ხელი შეუწყოს მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, რათა იგი დაინერგოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. გამოფენა დაეხმარება მრეწველობისა და მეცნიერების მუშაკებს მათს დაძაბულ მუშაობაში იმ დიადი ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა.

სიტყვა ეძლევა ტამბოვის ოლქის მიჩურინსკის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. **ე. ი. ანდრეევას.** მიტინგის მონაწილენი დიდი ყურადღებით ისმენენ მის ნაამბობს იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან მოწინავე კოლმეურნეობის მშრომელნი იმისათვის, რომ შეასრულონ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებანი ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდების დარგში.

— 1957 წელს, — ამბობს ამხ. ანდრეევა, — ჩვენ გადავწყვიტეთ მივიღოთ 60 ცენტნერი ხორცი ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე და 50 ცენტნერი ღორის ხორცი ას ჰექტარ სახნავზე. კოლმეურნენი ისწრაფვიან ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ არა მარტო ითლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი. ამისათვის ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს. მეურნეობაში ბევრი რამ გაკეთდა საკვები ბაზის განსამტკიცებლად. წარმოებს ბრძოლა იმისათვის, რომ ყოველ ჰექტარზე მიღებულ იქნას სიმინდის 500-600 ცენტნერი მწვანე მასა. პირუტყვის საკვებად დათესილია კარტოფილი, ძირხვენები, ბალჩეული კულტურები.

შემდეგ გამოდის მოსკოვის ოლქის კრასნოგორსკის რაიონის კოლმეურნეობა „ლუჩის“ თავმჯდომარე ამხ. **ტ. ს. პრიახინი.**

— გამოფენა, — ამბობს იგი, — ასახავს მთელი საბჭოთა ხალხის გმირულ შრომას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ჩვენი კოლმეურნეობა „ლუჩი“ პირველ წელიწადს როდია გამოფენის მონაწილე, ეს კი დიდი პატივია თვითეული მეურნეობისათვის. არტელის მშრომელებმა უკანასკნელ წლებში გაზარდეს მინდვრების მოსავლიანობა, გაადიდეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მაგალითად, გასულ წელს კოლმეურნეობამ ერთიორად მეტი კარტოფილი მოიყვანა, ვიდრე წინა 1954 და 1955 წლებში. სიმინდის მოსავალმა 1956 წელს 289 ცენტნერი მწვანე მასა შეადგინა, ცალკეულ ნაკვეთებზე კი 700 ცენტნერს მიაღწია.

ამხ. პრიახინი დაწვრილებით ლაპარაკობს მეცხოველეთა შრომითს მიღწევებზე. 1956 წელს კოლმეურნეობამ თვითეულ ძროხაზე 5.401 კილოგრამი რძე მიიღო. ას ჰექტარ მიწაზე წარმოებულ იქნა 890 ცენტნერი რძე, 63 ცენტნერი ხორცი. ჩვენი მეურნეობის აღმავლობაში, აღნიშნავს ორატორი, დიდი როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა მუშაობის გამოცდილების გამოყენებამ.

სასოფლო - სამეურნეო არტელის მშრომელებში მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა პარტიის მიერ დასახულმა ამოცანამ — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ჩვენი არტელის კოლმეურნეებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. ახლა მთელი ძალები მიმართულია იქითკენ, რომ 1960 წლისათვის ას ჰექტარ სასოფლო - სამეურნეო სავარგულებზე ვაწარმოოთ 1.000 ცენტნერი რძე და 128 ცენტნერი ხორცი.

უკრაინის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სახელით მიტინგის მონაწილეებს მიესალმა სუმის ოლქის ლებედინის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ამხ. **მ. ხ. სავჩენკო.** იგი ლაპარაკობს იმ დიდ წარმატებებზე, რომლებსაც ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებაში მიაღწიეს.

— საკოლმეურნეო ფერმაში, — ამბობს ამხ. სავჩენკო, — უკვე 20 წელია ვმუშაობ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენმა სოფელმა სახე იცვალა, მისი ადამიანები გაიზარდნენ. კოლმეურნეები შრომის მოწინავე მეთოდებს იყენებენ. გასულ წელს კოლმეურნეობამ საშუალოდ ერთ ძროხაზე 3.800 კილოგრამი რძე მიიღო. ჩემთვის მომაგრებულ თვითეულ ძროხაზე 8.041 კილოგრამი რძე მივიღე.

ასეთი შედეგების მიღწევაში, — განაგრძობს მწველავი, — კოლმეურნეობის მეცხოველეებს დიდად დაეხმარა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. თვითეული ჩვენგანი გულმოდგინედ სწავლობს და თავისი მუშაობის პრაქტიკაში ნერგავს გამოფენის მონაწილეთა გამოცდილებას. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაგალითის მიხედვით ჩვენ მოვაწყეთ მწვანე კონვეიერი, გადავედით პირუტყვის ბაგურ-ბანაკურ შენახვაზე, განვახორციელეთ ფერმის მექანიზაცია. ჩვენი მეცხოველეები განუხრელად ზრდიან პირუტყვის პროდუქტიულობას. 1955 წელს თვითეულ ძროხაზე მივიღეთ 2.800 კილოგრამი რძე, 1956 წელს — ათასი კილოგრამით მეტი. ამან შესაძლებლობა მოგვცა გასულ წელს ას ჰექტარ მიწაზე გვეწარმოებინა 380 ცენტნერი რძე.

სამშობლო დიდად აფასებს და ახალისებს ჩვენს შრომას. კოლმეურნენი დიდი აღმავლობით მუშაობენ. ისინი იმისათვის იბრძვიან, რომ მიმდინარე წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღონ 4.100 კილოგრამი რძე, შეასრულონ გადიდებული ვალდებულებანი ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გაზრდის დარგში. კოლმეურნენი თავიანთ სიტყვას შეასრულებენ.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვმა,** რომელსაც ყველა შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.



მოსკოვი, 1957 წლის 2 ივნისი. სსრ კავშირის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენების გახსნა. ს უ რ ა თ ზ ე (მარჯვნიდან მარცხნივ): ამხანაგები **ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, მ. ზ. საბუროვი, კ. ე. ვოროშილოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ა. ბ. არისტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ნ. მ. შვერნიკი, ლ. ი. ბრეჟნევი** და სხვები სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში.

ფოტო ა. უსტინოვისა.

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ამხანაგებო!

აი წვიმაც მოვიდა. ვფიქრობ, ამხანაგებო, წვიმა კარგი მოსავლის კარგი მაუწყებელია. კარგი მოსავალი კი დაგვეხმარება წარმატებით გადავჭრათ ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით მივესალმო და მივულოცო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენების ყველა მონაწილეს. **(მქუხარე ტაში).**

ნება მიბოძეთ აგრეთვე მივესალმო სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმომადგენლებს, ყველა სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც აქ არიან. მოხარული ვართ გავუზიაროთ მათ ჩვენი გამოცდილება. **(ტაში).**

ახორციელებს რა კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას, ჩვენმა ქვეყანამ უკანასკნელ წლებში ახალ აღმავლობას მიაღწია სახალხო მეურნეობის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

ჩვენი მრეწველობისა და ჩვენი სოფლის მეურნეობის წარმატებანი უდავოა. გავა ცოტა დრო, და ეს წარმატებანი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება. ახლა ჩვენ ვახორციელებთ მრეწველობის მართვის რეორგანიზაციას, ვქმნით სახალხო მეურნეობის საბჭოებს ეკონომიურ რაიონებში და ამით ხელმძღვანელობას ვაახლოებთ ქარხნებთან, საწარმოებთან, ხალხთან. ჩვენ ვიშორებთ დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ წარმოების სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილება, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილება მრეწველობის მართვის რეორგანიზაციის შესახებ ერთსულოვნად მოიწონა მთელმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა. მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში უკვე გაიმართა უმაღლესი საბჭოების სესიები, რომლებმაც მიიღეს შესაბამისი კანონები თვითეულ ამ რესპუბლიკაში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში გადაწყდა შეიქმნას 70 ეკონომიური რაიონი. ამ დღეებში მუშაობას დაიწყებენ უმაღლესი საბჭოების სესიები სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა ხელს შეუწყობს მთელი ჩვენი მუშაობის გაუმჯობესებას, მთელი ძალების შემდგომ ზრდას, შემოქმედებითი ინიციატივის ფართოდ გაშლას თვითეულ საწარმოო კოლექტივში.

ახლა საზღვარგარეთ ამბობენ: ალბათ, რუსებს, როცა იღებდნენ გადაწყვეტილებას მრეწველობის მართვის რეორგანიზაციის შესახებ, მხედველობაში ჰქონდათ სამხედრო-სტრატეგიული მიზნებიც, რადგან მრეწველობის მართვის დანაწილება ქმნის უკეთეს პირობებს, როცა ეკონომიურ რაიონს შეუძლია დამოუკიდებლად იცხოვროს სხვა რაიონების დამარცხების შემთხვევაში.

თუ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს ასე ესმით ჩვენი რეორგანიზაცია, ამის უარყოფას არ შევუდგებით. ესეც საჭირო და სასარგებლოა. **(ტაში).**

მაგრამ ჩვენ გარდაქმნას ვახორციელებთ არა ამ მიზნით, არამედ იმისათვის, რომ ავიყვანოთ ჩვენი მეურნეობა ახალ, უფრო მაღალ დონეზე, დავაჩქაროთ ჩვენი წინსვლა სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ. **(ტაში).**

ამხანაგებო! პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სოფლის მეურნეობის მუშაკებს დაუსახა დიდი ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების დონის მხრივ.

ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს ძალებისა და მატერიალური სახსრების დიდ დაძაბვას, მაგრამ იგი სავსებით ძალგვიძს.

უკვე ახლა ჩვენს ქვეყანას ღორის თითქმის ისეთივე სულადობა ჰყავს, როგორიც ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო ცხვარი და თხა ჩვენ ოთხჯერ მეტი გვყავს, ვიდრე მათ. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის რიცხვის მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით ამერიკას.

ყველაზე მეტად ჩამოვრჩებით ამერიკის შეერთებულ შტატებს ძროხის ხორცის წარმოების მხრივ. ამასთან უკანასკნელ წლებში იქ არის ამ სახეობის ხორცის ხვედრითი წონის გადიდების ტენდენცია.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე გამოცდილების საგანძური

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

უნდა ითქვას, რომ ჩვენ ძროხის ხორცის დიდი რაოდენობა გვაკლდება იმის გამო, რომ ბევრი მოზარდეული ადრე ასაკში იკვლება. მარტო კოლმეურნეობებში ყოველწლიურად იკვლება 5 მილიონამდე სული მოზარდეული. ეს სულადობა რომ შეგვენარჩუნებინა ერთნახევარი-ორი წლის ასაკამდე, ეს საშუალებას მოგვცემდა დამატებით მიგვეღო თითო სულზე ცოცხალი წონით 1,5 ცენტნერი ხორცი, ეს კი შეადგენს დაახლოებით 400 ათას ტონა ძროხის ხორცს ყოველწლიურად.

ადრე ასაკის მრავალ ხბოს კლავენ კოლმეურნეები, მუშები და მოსამსახურეები, რომლებთანაც თავმოყრილია ჩვენი ქვეყნის ძროხის მთელი სულადობის ნახევარზე მეტი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ამ მოზარდეულის ყიდვა და მისი გაზრდა ერთნახევარი-ორი წლის ასაკამდე დამატებით მოგვცემდა კიდევ 700-800 ათას ტონა ძროხის ხორცს.

მაშასადამე, მარტო ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ჩვენ ყოველწლიურად დამატებით მივიღებდით დაახლოებით 1 მილიონ 200 ათას ტონა ძროხის ხორცს.

საბჭოთა კავშირში არის ბევრი ისეთი რაიონი, სადაც სახორცე მეცხოველეობის განვითარების პირობები ნაკლებხელსაყრელი როდია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ სახორცე მეცხოველეობა ამ რაიონებში ჯერ კიდევ საკმაოდ არ განვითარებულა.

მაგალითად, უდიდესი შესაძლებლობანი აქვს ყაზახეთს სახორცე მიმართულების მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის განვითარებისათვის.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა წინასწარი გამოანგარიშება, რაც გვიჩვენებს, რომ სახორცე მესაქონლეობის განვითარებისა და მოზარდეულის დამატებითი გაზრდის გზით მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში შეგვიძლია დამატებით მივიღოთ ყოველწლიურად კიდევ 700-800 ათასი ტონა ძროხის ხორცი.

მაშასადამე, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის შენარჩუნებისა და ერთნახევარი-ორი წლის ასაკამდე მისი გაზრდის გზით, აგრეთვე მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში მოზარდეულის დამატებით გაზრდის გზით ჩვენ შეგვიძლია ყოველწლიურად დამატებით მივიღოთ ორ მილიონ ტონამდე ძროხის ხორცი.

იმისათვის, რომ წარმატებით გადაიჭრას დასახული ამოცანა, საჭიროა უახლოეს წლებში გავადიდოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ჩვენს ქვეყანაში. საჭიროა, რომ მომავალ 4 წელიწადში იგი გაიზარდოს სულ ცოტა 40 პროცენტით, ანუ იზრდებოდეს 8-10 პროცენტით წელიწადში. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს, განსაკუთრებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხარჯზე, უკვე 1957 წელს უზრუნველვყოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის საჭირო ზრდა.

ამით ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ ხორცის წარმოების გადიდებას კიდევ მილიონნახევარი ტონით.

გარდა ამისა, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გავადიდოთ ცოცხალი წონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა, რომელსაც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ასუქებენ. საჭიროა აგრეთვე უზრუნველვყოთ პირუტყვის მოვლის გაუმჯობესება მისაღებ პუნქტებში და პირუტყვის გადაყვანისას სასაკლაოებში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტების გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ ამ გზით შეიძლება მივიღოთ კიდევ 2 მილიონი ტონა ხორცი.

ამრიგად, ყველა ამ ღონისძიების განხორციელებით შეიძლება დამატებით გვქონდეს დაახლოებით ხუთი მილიონი ტონა ძროხის ხორცი ყოველწლიურად. ახლა კი ვაწარმოებთ 2 მილიონ 200 ათას ტონა ძროხის ხორცს.

როგორც უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, ჩვენში ღორის სულადობა ისეთივეა, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ ღორის ხორცს ჩვენ ნაკლებს ვიღებთ, ვიდრე ამერიკელები. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ღორების გასუქება ჩვენში უფრო ცუდად არის მოწყობილი. ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ ღორების გასუქება. 1956 წელს ჩვენ ვაწარმოეთ 2 მილიონ 600 ათასი ტონა ღორის ხორცი, ხოლო ამერიკაში ასეთივე სულადობისას — ხუთნახევარი მილიონი ტონა. ეს ნიშნავს, რომ ღორის არსებული სულადობისას მარტო გასუქების უკეთ მოწყობით ჩვენ შეგვიძლია ღორის ხორცის წარმოება უახლოეს წლებში გავადიდოთ სულ ცოტა ორჯერ, ანუ 2,6 მილიონი ტონით.

ჩვენ აგრეთვე უნდა მივაღწიოთ ღორის სულადობის შემდგომ ზრდას, რათა ამ გზით გვქონდეს დაახლოებით ხუთი მილიონი ტონა ღორის ხორცი.

ამ ამოცანის გადაჭრას უნდა მივუდგეთ ცალკეული ზონების თავისებურებათა გათვალისწინებით. არაშავმიწიანი ზოლის რაიონებში და რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ შავმიწიან ოლქებში, ბელორუსიასა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში ღორის ხორცის წარმოების შემდგომ გადიდებას საფუძვლად უნდა დაედოს უმთავრესად კარტოფილის მოსავლიანობის ზრდა და ნათესების გადიდება.

ჯიშიან ნაკვეთებზე კარტოფილის მოსავალს საშუალოდ ჰექტარზე იღებენ 170 ცენტნერს, ხოლო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ბევრი მოწინავე კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა — 200 ცენტნერზე მეტს, მაშინ როცა საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 104 ცენტნერია. კარტოფილის მოსავლიანობის გადიდება ჰექტარზე თუნდაც 150-160 ცენტნერამდე საშუალებას მოგვცემს დამატებით მივიღოთ 45-50 მილიონი ტონა კარტოფილი და ამ გზით გვექნეს დაახლოებით ორი მილიონი ტონა ღორის ხორცი. აი სად არის ჩვენი რეზერვები. უდიდესი შესაძლებლობანი აქვთ დასავლეთ ციმბირის და ყაზახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქების კოლმეურნეობებს და განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობებს. მარცვლეულის გაზრდილი წარმოების ბაზაზე აქ შეიძლება ბევრად გადიდდეს ღორის ხორცის წარმოება. ას ჰექტარ სახნავზე ღორის ხორცის წარმოების გადიდება საშუალებას მოგვცემდა ყამირი მიწების რაიონებში დამატებით მიგვეღო სულ ცოტა 400 ათასი ტონა ღორის ხორცი.

მაშასადამე, ამ ამოცანების შესრულება საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად მივიღოთ 10 მილიონ ტონამდე ღორის ხორცი. საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს ღორის ხორცის ბეკონური წარმოების დიდი მნიშვნელობა.

რაც შეეხება ცხვრის ხორცს, უნდა ითქვას, რომ ჩვენ უკვე ახლა მას ვაწარმოებთ თითქმის 2,5-ჯერ მეტს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. ამას განსაზღვრავს ცხვრის დიდი სულადობა. საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ცხვრის ხორცს უპირატესობა ეძლევა სხვა სახეობის ხორცთან შედარებით.

მატყლის წარმოების გადიდების დასახულ ამოცანასთან დაკავშირებით ცხვრის სულადობა ჩვენს ქვეყანაში ხუთწლედის ბოლოსათვის უნდა გადიდდეს 40 მილიონი სულით. სულადობის ეს გადიდება შესაძლებელს გახდის დამატებით მიიღონ უკვე 1960 წელს 400-500 ათასი ტონა ცხვრის ხორცი, ხოლო სულ ცხვრის ხორცი გვექნება დაახლოებით 1 მილიონ 200 ათასი ტონა.

ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებს განსაკუთრებით ჩამოვრჩებით ფრინველის ხორცის წარმოებაში, მაშინ როცა მეფრინველეობის განვითარების პირობები ჩვენ არსებითად განუსაზღვრელი გვაქვს. ჩვენში ფრინველის ხორცს ბალანსში უკავია 7 პროცენტი, მაშინ როცა ამერიკაში — 14 პროცენტი. ამ დარგის განვითარება სწრაფად რომ შეიძლება, ამას ცხადყოფს მოწინავე კოლმეურნეობებისა და მთელი რიგი ოლქების გამოცდილება. უკრაინის სტალინოს ოლქის კოლმეურნეობებმა 1956 წელს წყალსატევებში, საკვების უმნიშვნელო დახარჯვით, გაზარდეს 300 ათასი იხვი, ანუ 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1955 წელს. 1957 წელს მათ ვალდებულება იკისრეს გაზარდონ 2 მილიონი იხვი, ანუ თითქმის 7-ჯერ მეტი, ვიდრე 1956 წელს.

კრასნოდარის მხარის კანევსკაიას რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა იკისრეს 1957 წელს გაზარდონ 500 ათასი იხვი. მარტო ამით ისინი მიიღებენ დაახლოებით 1 ათას ტონა მაღალხარისხოვან ხორცს. წყალმცურავი ფრინველის — იხვებისა და ბატების ხორცის წარმოების გადიდებასთან ერთად უახლოეს წლებში უნდა გადიდდეს ქათმის ხორცის წარმოება ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში. ჩრდილოეთ კავკასიის, ამიერკავკასიის ოლქებში, შუა აზიის რესპუბლიკებში, აგრეთვე უკრაინაში დიდად უნდა განვითარდეს ინდაურის მოშენება.

მთლიანად ჩვენს ქვეყანაში ფრინველის ხორცის წარმოება უახლოეს წლებში შეიძლება გადიდდეს სულ ცოტა ერთ მილიონ 500 ათას ტონამდე 1956 წლის 500 ათასი ტონის ნაცვლად.

ბევრი ხორცი დამატებით შეიძლება მივიღოთ მეკურდღლეობის ფართო განვითარებით.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტთა მთელი ეს გამოანგარიშება ცხადყოფს, რომ უახლოეს წლებში შეგვიძლია ხორცის წარმოება ჩვენს ქვეყანაში ავიყვანოთ 20-21 მილიონ ტონამდე ყოველწლიურად, რაც უზრუნველყოფს დასახული ამოცანის გადაჭრას — დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს.

როგორც ვხედავთ, ამხანაგებო, ეს დიდი და პასუხსაგები ამოცანა შეიძლება წარმატებით გადაიჭრას. საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშები, ყველა სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი მხურვალედ შეუდგეს ამ ჭეშმარიტად დიდ საქმეს. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს უკვე მიმდინარე ხუთწლედში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოების მხრივ. მაგრამ თუ ჩვენ ამ ვადებში ვერ ჩავეტიეთ, ხოლო დასახული ამოცანა შევასრულეთ 1961 ან 1962 .წელსაც კი, მაშინაც ეს ჩვენი დიდი გამარჯვება იქნება.

რაც შეეხება ერთ სულ მოსახლეზე რძისა და კარაქის წარმოებას, უკვე მომავალ წელს ჩვენ შეგვიძლია დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამასთან კარაქის წარმოებაში შესაძლებლობა გვაქვს ამას მიმდინარე წელსაც კი მივაღწიოთ. იმისათვის, რომ ეს ამოცანა გადავჭრათ, რძე ჩვენს ქვეყანაში უნდა ვაწარმოოთ სულ ცოტა 70 მილიონი ტონა, ანუ 40 პროცენტით მეტი, ვიდრე 1956 წელს. უკანასკნელ ორ წელიწადში—1955 და 1956 წლებში რძის წარმოება ჩვენს ქვეყანაში გადიდდა 11 მილიონი ტონით ანუ თითქმის 30 პროცენტით.

ბევრმა ოლქმა და რესპუბლიკამ ამ ორ წელიწადში კიდევ უფრო გაადიდა რძის წარმოება. მაგალითად, მოლდავეთის რესპუბლიკაში რძის წარმოება გადიდდა 60 პროცენტით, უკრაინის რესპუბლიკაში — 49, ვორონეჟის ოლქში — 58, ბელგოროდის ოლქში — 46 პროცენტით.

ეს ციფრები მოწმობენ, რომ დასახული ამოცანა — 1958 წელს მივაღწიოთ ერთ სულ მოსახლეზე რძის წარმოების იმ დონეს, როგორიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებშია, სავსებით რეალურია.

დასახული პროგრამის შესრულების წარმატება პირველ რიგში დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ გაართმევენ თავს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საკვების წარმოების გადიდების ამოცანას. ეს პრობლემა ჩვენ უნდა გადავჭრათ უმთავრესად სიმინდით, კარტოფილით, საკვები ჭარხლითა და შაქრის ჭარხლით, მრავალწლიანი ბალახებით, ხანჭკოლით, მარცვლეულ-პარკოსანი კულტურებით, აგრეთვე ბუნებრივი სათიბების გაუმჯობესებით და კარგი საძოვრების შექმნით.

ამხანაგებო! შარშან ჩვენ მივაღწიეთ მარცვლეულის წარმოების მკვეთრად გადიდებას. განსაკუთრებით დიდი წარმატებებია მოპოვებული ყამირ მიწებზე. ჩვენი სახელოვანი პატრიოტები, კომკავშირელები და ახალგაზრდობა განსაკუთრებული ენერგიით შრომობდნენ და შრომობენ ახალ მიწებზე. თავიანთი გმირული მუშაობით მათ საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭეს. ბევრი მათგანი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით და გამოფენის მონაწილეა, ყამირის ზოგიერთი გმირი ახლა ესწრება ამ მიტინგს. პატივი და დიდება ყამირი მიწების დამპყრობთ! (მქუხარე ტაში). ჩვენი სამშობლოს კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები წელსაც ისე შრომობენ, რომ მოიყვანონ მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების უხვი მოსავალი.

ამასთან ერთად ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ მებაღეობისა და მევენახეობის განვითარებას. მევენახეობის უმთავრესი რაიონები ჩვენს ქვეყანაში არიან მოლდავეთისა და საქართველოს რესპუბლიკები, ყირიმისა და უკრაინის სსრ სხვა სამხრეთი ოლქები, სადაც თავმოყრილია ჩვენი ქვეყნის მთელი ვენახების ნახევარზე მეტი. მევენახეობის განვითარების კარგი პირობები აქვთ სომხეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის რესპუბლიკებს.

ამა წლის გაზაფხულზე მოლდავეთმა და უკრაინამ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ვაზის რგვის გეგმები. მოლდავეთის რესპუბლიკამ 30 მაისისათვის დარგო 27 ათასი ჰექტარი ვენახი, უკრაინის სს რესპუბლიკამ — 25 ათასი ჰექტარი. თუ როგორ ვითარდება მევენახეობა და მებაღეობა, მაგალითად, ყირიმის ოლქში, ამას ასეთი ფაქტები მოწმობენ.

დიდ სამამულო ომამდე ყირიმის ოლქში იყო სულ 11.630 ჰექტარი ვენახები და 19.580 ჰექტარი ბაღები. მთელ ომისშემდგომ პერიოდში — 1956 წლამდე — მრავალწლიანი ნარგავების მატება შეადგენდა 7,5 ათას ჰექტარს. ხოლო 1956 წელს და ამა წლის გაზაფხულზე, ე. ი. წელიწადნახევარში, ყირიმის კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დარგეს 16.832 ჰექტარი ახალი ვენახები და 6.877 ჰექტარი ბაღები. ყირიმს ყველა შესაძლებლობა აქვს მთლიანი ბაღებისა და ვენახების ოლქი გახდეს.

მებაღეობის განვითარების დიდი შესაძლებლობებია ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი ოლქები, როგორიც ვორონეჟის, კურსკის, ტამბოვის, ბელგოროდის, ტულის, რიაზანის, მოსკოვისა და ზოგიერთი სხვა ოლქები არიან. ეს ოლქები ოდითვე განთქმული არიან ისეთი ძვირფასი ჯიშების ვაშლით, როგორიც არის ანტონოვკა, „ბელი ნალივი“, „ბოროვინკა“, აგრეთვე ადრეული საშემოდგომო ჯიშების მსხალი. სხვადასხვა ჯიშის ალუბალი და კენკრა.

1956 წელს ამ ოლქებში დარგული იყო 9,5 ათასი ჰექტარი ბაღები და 1957 წლის გაზაფხულზე დაირგო კიდევ 7 ათასი ჰექტარი ახალი ბაღები. (ტაში).

ბევრი კოლმეურნეობა ამ ოლქებში ბაღებს დიდ ფართობებზე აშენებს. მაგალითად, ტამბოვის ოლქის მიჩურინსკის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ ამ გაზაფხულზე 40 ჰექტარი ბაღები დარგო. ახალი ბაღების ფართობი მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებსა და ოლქებში. ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ და შევინარჩუნოთ მებაღეობა. ბაღები ჩვენი დიდი სიმდიდრეა, და ეს სიმდიდრე უნდა გავამრავლოთ. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ღორის ხორცთან, ძროხის ხორცთან და მჭვადთან გვექნეს ხილი და კარგი ღვინო.

ამხანაგებო! იზრდება და მტკიცდება ჩვენი ქვეყანა, იზრდება და მტკიცდება მთელი ჩვენი სოციალისტური ბანაკი.

სოციალისტურ ქვეყნებში ამჟამად მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის გარდაქმნის შესანიშნავი პროცესი.

განსაკუთრებით დიდი წარმატებები ამ დარგში მოპოვებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ჩვენმა ჩინელმა მეგობრებმა ძირითადად უკვე დაამთავრეს გლეხთა მეურნეობების კოოპერირება. სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა გარდაქმნამ დიდ ჩინელ ხალხს შესაძლებლობა მისცა 1955 და 1956 წლებში მნიშვნელოვნად აემაღლებინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დიდი წარმატებები ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც გლეხურ მეურნეობათა 78 პროცენტი, რომლებსაც მთელი მიწის 79 პროცენტი აქვთ, გაერთიანებულია საწარმოო კოოპერატივებად. ბულგარელი ამხანაგები აშენებენ მაღალინტენსიურ მრავალდარგოვან და მაღალსასაქონლო საწარმოო კოოპერატივებს.

გლეხური მეურნეობების საწარმოო კოოპერატივებად გაერთიანებაში მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

გლეხურ მეურნეობათა საწარმოო კოოპერირება წარმატებით ვითარდება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში. ამჟამად კოოპერატივები ფლობენ ჩეხოსლოვაკიის მთელი მიწის ფართობების მესამედზე მეტს.

კოოპერაციულ მეურნეობათა შექმნის გზას, მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის გზას მტკიცედ ადგებიან აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გლეხები.

ამ უკანასკნელ წლებში გლეხთა საწარმოო კოოპერირება შესამჩნევად ვითარდება ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში, აგრეთვე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში გლეხობის ძირითადი მასები მხარს უჭერენ კომუნისტური და მუშათა პარტიების ხაზს, მიმართულს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისაკენ. მათ კარგად ესმით, რომ გლეხთა კოოპერირება სოციალიზმის მშენებლობის, ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ერთადერთი სწორი გზაა.

ყოველივე ეს, ამხანაგებო, ღირსშესანიშნავი წარმატებაა. იგი მოწმობს, რომ მშრომელი გლეხობის მასები სულ უფრო მტკიცედ ადგებიან სოციალისტურ გარდაქმნათა გზას, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას. ისინი თავიანთი მაგალითით რწმუნდებიან, რომ კოოპერატივებში შესვლით ეძლევათ მეტი შესაძლებლობა უკეთ იშრომონ, უფრო კულტურულად და უზრუნველყოფილად იცხოვრონ. ისინი რწმუნდებიან, რომ სოციალისტური გზა საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების უმაღლესი, ხალხური და ერთადერთი სწორი გზაა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერატივები მტკიცეა იქ, სადაც გლეხთა გაერთიანება მიმდინარეობს ადამიანთა მატერიალური დაინტერესების საფუძველზე და სადაც იცავენ ნებაყოფლობის პრინციპს.

ამხანაგებო! ჩვენ განუწყვეტლივ უნდა ვამაღლოთ ჩვენი ცოდნა იმისათვის, რომ დღითიდღე გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, გავაუმჯობესოთ წარმოების ტექნოლოგია. ხოლო ამისათვის საჭიროა კარგად ვიცნობდეთ წარმოებას — ქარხნებსა და საწარმოებს, კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ვიცნობდეთ მოწინავე ადამიანებს, ვავრცელებდეთ მათს გამოცდილებას, მეცნიერულ აღმოჩენებს.

სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენებმა დიდი როლი უნდა შეასრულონ მოწინავე გამოცდილების გავრცელებაში. ეს გამოფენები არ უნდა წარმოადგენდნენ ცალკეული მიღწევების უბრალო ჩვენებას. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა გზით, რა საშუალებებით არის მიღწეული ესა თუ ის კარგი შედეგი. ამის შესახებ გასაგებად უნდა ვუამბოთ კინოს, პლაკატების, ბროშურების საშუალებით. საჭიროა კაცმა არა მარტო ნახოს, არამედ იყიდოს, ხაზგასმით ვამბობ — იყიდოს საჭირო ლიტერატურა და კარგად შეისწავლოს მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, ქარხნებისა და ფაბრიკების მიღწევები, ხოლო მას შემდეგ, რაც შეისწავლის მოწინავეს, ახალს და პროგრესულს, გამოიყენოს იგი თავის წარმოებაში.

ამხანაგებო! ჩვენ თქვენთან ერთად ვცხოვრობთ შესანიშნავ დროში, როდესაც ჩვენი ქვეყანა სულ უფრო მეტ ძალებს იკრებს თავის განვითარებაში. იზრდება და მტკიცდება მთელი ჩვენი სოციალისტური ბანაკი.

მთელ მსოფლიოში იზრდებიან ძალები, რომლებიც იბრძვიან ქვეყნების მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ხალხებს არა სურთ ომი. ისინი სულ უფრო ენერგიულად იბრძვიან მშვიდობისათვის. ხოლო ხალხთა ნება და გადაწყვეტილება დიდი ძალაა, ამხანაგებო.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს, რომელიც მტკიცე რწმენით მიდის ლენინური გზით თავისი სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხის მებრძოლ ავანგარდს! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს ძლევამოსილ საბჭოთა ხალხს, დაუცხრომელ მშრომელს, რომელიც თავისი შრომით ქმნის ჩვენი ქვეყნის მთელ სიმდიდრეს! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში! (მქუხარე ტაში).

* * *

მიტინგი დამთავრებულია. ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს. გამოფენის პავილიონებზე აღიმართა ალისფერი ალმები, მძლავრად ამოხეთქეს შადრევნებმა. 1957 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენები გახსნილია. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ათასობით ადამიანი დადის ვრცელ ქალაქ-ბაღში, ათვალიერებს მრავალ პავილიონს, მეცხოველეობის ფერმებს, მიდის ექსპონატების უბანში. გვიან საღამომდე ეცნობოდნენ დამთვალიერებლები ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის შესანიშნავ მიღწევებს.

## რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეთა თათბირი

ამას წინათ მოსკოვში გაიმართა რუსეთის ფედერაციის სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელიც მოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიურომ.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციაში სახალხო მეურნეობის საბჭოების პრაქტიკული ამოცანების შესახებ თათბირზე მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ბ. არისტოვმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ბულგანინმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ე. ა. ფურცევამ, ნ. ი. ბელიაევმა.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### პროფესორ გ. ნ. სპერანსკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ გ. ნ. სპერანსკის მრავალი წლის ნაყოფიერი საექიმო და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და მედიცინის მეცნიერების განვითარებაში და განსაკუთრებით ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში მისი თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად, მიენიჭოს ამხ. გიორგი ნესტორის-ძე სპერანსკის სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს მას ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 1 ივნისი.

## ბელორუსიის სსრ კოლმეურნეობებმა შეასრულეს თავიანთი ვალდებულება — გეგმის გადამეტებით ჩააბარეს 1956 წლის მოსავლის 250 ათასი ცენტნერი სელის ბოჭკო

ჩაბმული არიან რა შეჯიბრებაში სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, ვადამდე, მიმდინარე წლის იანვარში, შეასრულეს 1956 წლის მოსავლის. სელის ბოჭკოს ჩაბარების წლიური გეგმა და იკისრეს ვალდებულება — გეგმის გადამეტებით ჩაებარებინათ სახელმწიფოსათვის 250 ათასი ცენტნერი სელის ბოჭკო. ეს ვალდებულება შესრულებულია პირნათლად. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა 1956 წლის მოსავლიდან სახელმწიფოს ჩააბარეს 700 ათასზე მეტი ცენტნერი სელის ბოჭკო, ანუ გეგმის 155 პროცენტი, საბოჭკოე სელის თესლი ჩააბარეს 677 ათასი ცენტნერი, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 160 ათასი ცენტნერი.

მესელეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის ბელორუსიის სს რესპუბლიკას მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ბელორუსმა მესელეებმა, დაამთავრეს რა საბოჭკოე სელის თესვა, დაიწყეს ნათესების მოვლა და ვალდებულებას კისრულობენ 1957 წელს მოიყვანონ საბოჭკოე სელის კიდევ უფრო უხვი მოსავალი, ვიდრე 1956 წელს.

## ჭიათურელმა მაღაროელებმა მაისის დავალება შეასრულეს

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელმა მაღაროელებმა, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნიკოპოლელ მაღაროელებთან არიან ჩაბმული შეჯიბრებაში, მარგანეცის მოპოვების მაისის დავალება წარმატებით შეასრულეს.

განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს მაისში ლენინის, ვოროშილოვისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროების კოლექტივებმა. თვის განმავლობაში მათ გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი ტონა მარგანეცი მოგვცეს.

## ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება

„საქართველოს ჩაის“ ტრესტის 1 ივნისის ცნობებით

| რაიონები | გეგმის შესრულება %-ობით წლიურისა | გეგმის შესრულება %-ობით მაის-ივნისისა |
|---|---|---|
| ბათუმის | 33,3 | 72,1 |
| ქობულეთის | 28,4 | 61,3 |
| ქედის | 26,0 | 56,5 |
| სულ აჭარაში | 29,6 | 64,0 |
| გალის | 27,4 | 59,2 |
| ოჩამჩირის | 30,0 | 65,5 |
| გულრიფშის | 34,6 | 75,1 |
| სოხუმის | 32,1 | 70,0 |
| გუდაუთის | 30,9 | 67,2 |
| სულ აფხაზეთში | 28,9 | 62,8 |
| მახარაძის | 24,7 | 53,5 |
| ჩოხატაურის | 28,5 | 62,0 |
| ლანჩხუთის | 27,0 | 58,7 |
| სამტრედიის | 24,9 | 54,2 |
| წულუკიძის | 15,9 | 33,8 |
| ქუთაისის | 19,8 | 43,0 |
| წყალტუბოს | 26,7 | 58,0 |
| ტყიბულის | 23,8 | 53,7 |
| ცხაკაიას | 17,8 | 38,0 |
| აბაშის | 12,5 | 27,2 |
| გეგეჭკორის | 22,7 | 49,5 |
| ზუგდიდის | 20,6 | 45,0 |
| წალენჯიხის | 26,9 | 60,1 |
| ჩხოროწყუს | 25,7 | 55,7 |
| ხობის | 22,2 | 48,3 |
| თერჯოლის | 39.6 | 85,5 |
| ზესტაფონის | 22,3 | 47,9 |
| ჭიათურის | 24,3 | 53,9 |
| ვანის | 21,0 | 42,0 |
| სულ რესპუბლიკაში | 25,6 | 55,7 |



# ოქტომბრის გზაზე

## ვ. ი. ლენინის გამოსვლა გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე

(40 წლისთავის გამო)

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა ანტანტის იმპერიალისტებისა და რუსი კაპიტალისტების ინტერესებისათვის მოითხოვდა ომის განგრძობას „საბოლოო გამარჯვებამდე". იგი თავს არ იწუხებდა მიწის რეფორმის განხორციელებისათვის. მთელი მიწები ისევ მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელში რჩებოდა. ყოველივე ეს სოფლად იწვევდა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას, რაც განსაკუთრებით იგრძნობოდა 1917 წლის მაისის ბოლოს და ივნისში. გაძლიერდა „აგრარული

[illegible]

...ნებლივ უნდა აიღოს ადგილებზე მთელი მიწა სამეურნეო მიზნით გამოსაყენებლად, ისე რომ იგი ამით სრულიად არ წყვეტს წინასწარ მიწის საკითხის საბოლოო მოწესრიგებას დამფუძნებელი კრების ან სრულიად რუსეთის საბჭოების საბჭოს მიერ, თუ ხალხი ცენტრალურ სახელმწიფო ხელისუფლებას ასეთ საბჭოების საბჭოს გადასცემს.

3. მიწის კერძო საკუთრება საერთოდ უნდა მოისპოს, ესე იგი მთელი მიწის საკუთრების უფლება უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ მთელ ხალხს; მიწას კი უნდა განაგებდნენ ადგილობრივი დემოკრატიული დაწესებულებები..."

ლენინის სიტყვა შეიცავდა ესე...

[illegible]

...გრამას, რაზმავდა გლეხთა მასებს, აკავშირებდა მათ მუშათა კლასთან, ემზადებოდა გადამწყვეტი შეტევისათვის პროლეტარული რევოლუციის გასამარჯვებლად.

## აზერბაიჯანიდან ჩამოვიდნენ „თეატრალური გაზაფხულის" მონაწილენი



[illegible]

## აზერბაიჯანისა და სომხეთის კინოფილმების ფესტივალი

[illegible]

## 125.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი სამშობლოს

## აღვკვეთოთ დარღვევები ჩაის ფოთლის კრეფაში

ქობულეთის რაიონის მოწინავე მეჩაიეები თავდადებით შრომობენ ფოთლის კრეფის სახელმწიფო გეგმის წარ...

...რას პირველ მიმღებ პუნქტში ჩასაბარებლად მოიტანეს 1.072 კილოგრამი ფოთოლი, საიდანაც 872 კილოგრამი...

[illegible]

## თეატრი

## ამიერკავკასიის „თეატრალური გაზაფხულის" პირველი სპექტაკლი

„საცდელი მინდორი" — ერევნის გ. სუნდუკიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის დადგმა

ნიჭიერი სომეხი პოეტისა და დრამატურგის ნაირი ზარიანის კომედიას „საცდელ მინდორს" ქართველი მკითხველი დიდი ხანია იცნობს. მისი ქართული თარგმანი 1953 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში". ეს კომედია ჩვენი მაყურებლისათვის ცნობილია აგრეთვე თბილი...

[illegible]

...პრემიის ლაურეატი დ. მალიანი) მიერ წარმოთქმული სიტყვები: მეგობრობა ის არის, როცა ამხანაგს პირში ეტყვი თავის ნაკლოვანებებს!.. ხოლო რამდენად არაგულწრფელი და შემპარავია გარნაკერიანის პასუხი — აი, ეს სწორია!.. მსახიობმა ჯანიბეკიანმა აქ უდავოდ მიაღწია როლის გარდასახვის ოსტატობას, მაყურებელს სრულყოფილად წარმოუდგინა სახე



სპექტაკლ „საცდელი მინდვრის" ფინალური სცენა (მარცხნიდან მარჯვნივ): ა. არაზიანი (რუზანა), დ. მალიანი (კარსეციანი), ე. ოვანესიანი (მარგო), გ. ჯანიბეკიანი (მეურნეობის დირექტორი) და ა. ავეტისიანი (ბალაბეკი).

[illegible]

ბ. თათარაშვილი.

## თბილისის მოსახლეობისათვის

### 6.000 ფრთა ფრინველი — საგარეჯოს რაიონიდან



გუშინწინ დილით თბილისს აღმოსავლეთის მხრიდან მოადგა ავტომანქანების კოლონა ფრინველის დიდი პარტიით. ამ დღეს საგარეჯოს რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა — მანავის მოლოტოვის სახელობის, საგარეჯოს მარქსის სახელობის, სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელებმა და გიორგიწმინდის კოლმეურნეობა „განთიადმა" საქართველოს დედაქალაქის მშრომელებისათვის მისაყიდად შემოიყვანეს 6.000 ფრთა ფრინველი.

არ გაივლის ერთი კვირა, და ამ რაიონიდან თბილისში კიდევ შემოიყვანენ ხუთი ათასამდე ვარიას; სულ კი სექტემბრამდე კოლმეურნეობები დედაქალაქის მშრომელებს ორგანიზებული წესით მიჰყიდიან 30 ათას ფრთა ფრინველს.

* * *

ორიოდე წლის წინ საგარეჯოს რაიონში მეფრინველეობა, ისევე როგორც მეცხოველეობის სხვა დარგები, ჩამორჩენილი იყო. 1955 წელს აქ თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე მხოლოდ 11 კვერცხი მიიღეს. დაბალი იყო ფრინველის გაზრდის პროცენტიც. ეს მაშინ, როცა რაიონში, რომელსაც მარცვლეულის წარმოების გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვები აქვს, მეფრინველეობის აღმავლობის ყველა პირობა ჰქონდათ.

რაიონის კოლმეურნეობებმა მეფრინველეობის დარგში პირველი სერიოზული წარმატებები მოიპოვეს შარშან. მათ გაზარდეს 50 ათასამდე წიწილა და თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე მიიღეს 44 კვერცხი.

საგარეჯოელები წელს 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე მიიღებენ 3 ცენტნერ ფრინველის ხორცს და თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65 კვერცხისა — 70 კვერცხს. სულ კი მიმდინარე წელს სამშობლოს მისცემენ თითქმის ნახევარ მილიონ კვერცხს.

ეს დავალება რომ წარმატებით შესრულდება, ამას ამტკიცებს მიმდინარე სამეურნეო წლის გასული პერიოდის შედეგები. თუ გასული წლის 1 ივნისისათვის რაიონის კოლმეურნეობებში თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე მიღებული იყო 29 კვერცხი, მიმდინარე წლის შესაბამისი დროისათვის უკვე მიღებულია 45 კვერცხი. წელს გასაზრდელად დაყენებულია 80 ათასი წიწილა, გეგმა კი 41 ათასს ითვალისწინებს.

რაიონში მეფრინველეობის აღმავლობის საქმეში დიდ როლს ასრულებს საგარეჯოს საინკუბატორო სადგური (დირექტორი ამხ. თ. ქვლივიძე), რომელიც კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მოსახლეობას ყოველწლიურად აძლევს 100 ათასზე მეტ წიწილას. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი საინკუბატორო სადგურში წიწილების გამოჩეკის მაღალ პროცენტს (86,5) და კოლმეურნეობებში ფრინველის შენარჩუნების კარგ შედეგს (97 პროცენტი).

— ერთგვარი წარმატებები, რაც რაიონის კოლმეურნეობებმა უკანასკნელ ხანებში მეფრინველეობის დარგში მოიპოვეს, — ამბობს პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გ. ნადაშვილი, — იმით უნდა აიხსნას, რომ შესამჩნევად გაუმჯობესდა ფრინველის მოვლა, კვება და შენახვა. უმრავლეს კოლმეურნეობებში აშენდა ახალი კულტურული საფრინველეები, უხვი, მრავალფეროვანი გახდა კვების რაციონი. მეფრინველეები დაეუფლნენ მოწინავე ხერხებსა და მეთოდებს. რაიონის კოლმეურნეობებმა დააგროვეს ფრინველის თავისუფალი შენახვის გამოცდილება. წელს მეფრინველეობის ყოველი ფერმა უზრუნველყოფილი იქნება 10 ტონა სილოსით.

ფრინველის გასუქების ორგანიზაცია და თბილისის მოსახლეობისათვის ორგანიზებული წესით მიყიდვა, რაც საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა წამოიწყეს, მისაბაძია. იგი ხილს შეუწყობს საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა მომარაგებას მეცხოველეობის პროდუქტებით.

ვ. ლუარსაბიძე.

* * *

სურათზე: საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებს დედაქალაქის რაიონულ ბაზრებზე გასაყიდად მანქანებით მოჰყავთ ფრინველი. ფოტო ვ. გინზბურგისა.

## კომუნიკე
## საბჭოთა კავშირ-კამბოჯის მოლაპარაკების შესახებ

იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც მიღწეულ იქნა მოსკოვში 1956 წლის ივლისში პრინც ნოროდომ სიანუკსა და სსრ კავშირის მთავრობას შორის, საბჭოთა სპეციალისტების კომისია ჩავიდა კამბოჯაში, რათა შეემუშავებინა კამბოჯელ სპეციალისტებთან ერთად პრაქტიკული გზები, რომელთა შესაბამისად უნდა განმტკიცდეს ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა კამბოჯასა და სსრ კავშირს შორის.

კამბოჯაში ყოფნის დროს საბჭოთა სპეციალისტების კომისიამ კამბოჯის მეფის მთავრობისაგან მიიღო ყველა შესაძლებლობა გასცნობოდა კამბოჯის ეკონომიურ და კულტურულ პრობლემებს.

კამბოჯისა და საბჭოთა კავშირის დელეგაციებმა 1957 წლის 20 თებერვალს დაიწყეს მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობდა გულახდილი მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში. ამ მუშაობის შედეგად მათ მოამზადეს შეთანხმებათა შემდეგი პროექტები:

— შეთანხმება კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ;

— სავაჭრო შეთანხმება;

— საგადამხდელო შეთანხმება;

— შეთანხმება პნომ-პენში ჰოსპიტლის მშენებლობის შესახებ, რომლებსაც 31 მაისს ხელი მოაწერეს ორივე ქვეყნის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა.

დაზუსტდა, რომ ზემოხსენებულ ჰოსპიტალს, რომელიც საბჭოთა მთავრობამ სსრ კავშირის ხალხთა სახელით უძღვნა კამბოჯის სამეფოს მთავრობასა და ხალხს, ექნება 500 საწოლი და პოლიკლინიკა, რომელიც დღეში 500 ავადმყოფს მიიღებს.

მოლაპარაკების მსვლელობაში აგრეთვე განიხილეს ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების პროექტი; ორივე დელეგაციამ მიზანშეწონილად ცნო გაგრძელდეს მუშაობა ორ ქვეყანას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით. კამბოჯის წარმომადგენლები ამ მიზნით შეძლებენ ეწვიონ სსრ კავშირს ამისათვის შესაფერის დროს.

## მდგომარეობა იორდანიაში

დამასკო, 31 მაისი. (საკდესი). გაზეთ „ათთაჰრირის" ცნობით, იორდანიაში ემზადებიან პარლამენტის დათხოვნისათვის. რეაქციული დეპუტატები იმ მიზნით, რომ საზოგადოებრივი აზრი მოამზადონ ამ აქტისათვის, პრესაში ბეჭდავენ სტატიებს, რომლებითაც ცდილობენ დაასაბუთონ, რომ საჭიროა პარლამენტის დათხოვნა. მაგალითად, ასეთი განცხადება გააკეთა პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მუსტაფა ჰალიფიმ.

გაზეთ „ან-ნურის" ცნობით, დაპატიმრებულთა საერთო რიცხვი იორდანიაში 10 ათას კაცს აღწევს.

## ატომგულის მეორე აფეთქება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 2 ივნისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, დღეს ნევადის შტატში განახორციელეს ატომგულის მეორე აფეთქება.

## ისრაელის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობა

იაფაში 29 მაისიდან 1 ივნისამდე მიმდინარეობდა ისრაელის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობა.

ყრილობას მიესალმნენ ინგლისის, საფრანგეთის, ბულგარეთისა და სხვა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები.

ყრილობის დელეგატები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას.

მისალმებაში ნათქვამია:

„ისრაელის კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებით და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, იცავს მშვიდობის საქმეს, რაზმავს ისრაელის მთელ პროგრესულ ძალებს ახლო აღმოსავლეთში იმპერიალისტ აგრესორთა და მათ დამქაშთა ხრიკების წინააღმდეგ საბრძოლველად, მუშათა კლასის რიგების ერთიანობისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ ისრაელის კომუნისტური პარტია კვლავაც განუხრელად ივლის ამ გზით და ახალ წარმატებებს მიაღწევს თავის საქმიანობაში".

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა ისრაელის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა სამუელ მიკუნისმა. მან მკვეთრად გააკრიტიკა მთავრობის გადაწყვეტილება მიემხროს „ეიზენჰაუერის დოქტრინას" და დაგმო ეს ნაბიჯი როგორც „ისრაელის ეროვნული ინტერესებისათვის ღალატი". მომხსენებელმა ბენ-გურიონის მთავრობას ბრალად დასდო, რომ იგი ხალხს უმალავს და უგულებელყოფს საბჭოთა კავშირის ამა წლის 11 თებერვლისა და 19 აპრილის წინადადებებს, რომლებიც სახავენ ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცების გზებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობის შემდეგ, რომელმაც სტიმული მისცა ყველა ქვეყნის მუშათა კლასისა და ხალხის მასების ბრძოლას მშვიდობისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის, ამბობს მომხსენებელი, იმპერიალიზმი გადავიდა კონტრშეტევაზე, სცადა დაებრუნებინა კაპიტალიზმი უნგრეთში და კოლონიალიზმი ეგვიპტეში. ეს ცდები ჩაიფუშა.

„ჩვენ მოვუწოდებთ ისრაელ ხალხს, რომელსაც სძულს ომი, — განაცხადა მიკუნისმა, — აღიმაღლოს ხმა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის, გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, რომელმაც მოსპო 6 მილიონი ებრაელი, ევროპაში ნატოს სახმელეთო ჯარების სარდლად ჰიტლერელი გენერლის შპაიდელის დანიშვნის წინააღმდეგ, დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინის წინააღმდეგ".

შემდეგ მიკუნისმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელის ეკონომიურ სიძნელეთა მთავარი მიზეზია უცხოეთის კაპიტალზე, განსაკუთრებით ამერიკის „დახმარებაზე" დამოკიდებულება. მთავრობის უკანასკნელი ცნობებით, მუშათა 20 პროცენტი მთლიანად ან ნაწილობრივ უმუშევარია; მოსახლეობის 66 პროცენტი არსებობს შემოსავლით, რომელიც ვერ აღწევს საცხოვრებელ მინიმუმს. ისრაელში მწვავდება კლასობრივი ბრძოლა: 1956 წელს გაფიცულთა რიცხვი 16 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1955 წელს.

საქმის მდგომარეობა, თქვა მიკუნისმა, მოითხოვს ახლანდელი მთავრობის გადადგომას და მის შეცვლას მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მთავრობით.

ისრაელის კომუნისტური პარტია, განაცხადა მომხსენებელმა, სავსებით ეთანხმება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, როგორც სოციალიზმის ბანაკის მთავარ და ცენტრალურ ძალას. ისრაელი ხალხის მშვიდობიანი თანაარსებობისა და დამოუკიდებლობის ინტერესები ემთხვევა მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და ყველა ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პოლიტიკას, რასაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს.

მოხსენება პარტიის წესდებაში ცვლილებათა შესახებ გააკეთა ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ტუბიმ.

შემდეგ დაიწყო ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და პარტიის წესდებაში ცვლილებათა შესახებ მოხსენების განხილვა.

ყრილობამ ერთხმად მოიწონა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და აღნიშნა, რომ საჭიროა ამ მოხსენებით ხელმძღვანელობა პარტიის პოლიტიკისა და საქმიანობის განხორციელებისას.

XIII ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს შეიმუშაოს პროექტი პარტიის პროგრამისა „ისრაელის გზა სოციალიზმისაკენ". ყრილობამ მოუწოდა ისრაელის მუშათა პარტიებს დაირაზმონ იმისათვის საბრძოლველად, რომ გაუქმდეს მთავრობის გადაწყვეტილება „ეიზენჰაუერის დოქტრინისადმი" მიმხრობის შესახებ. მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობას, ნათქვამია რეზოლუციაში, დიდი მნიშვნელობა აქვს და იგი საჭიროა წარმატების მისაღწევად ხელფასზე ბურჟუაზიის შეტევის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმპერიალიზმსა და საომარ მზადებაზე დამოკიდებულების პოლიტიკიდან დამოუკიდებლობისა და მშვიდობის პოლიტიკისაკენ მობრუნებისათვის ბრძოლაში... იდეოლოგიური განსხვავება მუშათა სხვადასხვა პარტიებს შორის არ უნდა იყოს დაბრკოლება თანამშრომლობისათვის.

ყრილობამ მიიღო საპროტესტო რეზოლუცია ისრაელში არაბთა ეროვნული უმცირესობის ჩაგვრის წინააღმდეგ და საპროტესტო რეზოლუცია ატომგულის იარაღის გამოცდის წინააღმდეგ და ამ იარაღის აკრძალვისათვის.

ყრილობამ დაამტკიცა აგრეთვე რეზოლუცია, რომელიც იწონებს მოხსენებას პარტიის წესდებაში ცვლილებათა შესახებ, აირჩია ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

დელეგატებმა დიდი აღმავლობით მიიღეს ტექსტი მისასალმებელი წერილისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. (საკდესი).

## ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში მარცხს განიცდის

ნიუ-იორკი, 1 ივნისი. (საკდესი). ინგლისის განცხადებამ, რომ იგი აპირებს შეასუსტოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ვაჭრობის შეზღუდვა, მკვეთრ რეაქციას იწვევენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში. სენატორმა ნოულენდმა გააკეთა ინგლისის საწინააღმდეგო განცხადება, რომელშიც ცდილობდა დაეშინებინა ინგლისი. სენატორი პოტერი იმუქრება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი შეწყვეტს უცხო სახელმწიფოებისადმი და, მათ შორის, ინგლისისადმი „დახმარების" პროგრამას.

ამერიკის შეერთებული შტატების პრესა და პოლიტიკური მოღვაწეები ერთი აზრისა არიან, რომ ინგლისის მოქმედებამ, რაც ტაივანზე ანტიამერიკულ გამოსვლებს მოჰყვა, კვლავ მიაყენა ზიანი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთში.

აფასებს რა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის შორეული აღმოსავლეთის ამბების არახელსაყრელობას, ვაშინგტონის გაზეთ „დეილი ნიუსს" ეს ამბები მიაჩნია „გარდუვალად". გაზეთი აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეთა ერთსულოვან წინააღმდეგობას ამერიკის პოლიტიკისადმი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ და წინასწარმეტყველებს, რომ ინგლისის მაგალითს მალე მიბაძავენ იაპონია და სხვა ქვეყნები. დასავლეთ ევროპის ქვეყნების თვალსაზრისით, ნაღვლიანად აღიარებს გაზეთი, ჩან კაი-შის საქმე „მკვდარი თაგვია".

გაზეთის ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წრეებში მოელიან, რომ ინგლისის მაგალითს მიბაძავენ სხვა ქვეყნებიც, ამასთან ნატოს წევრი ქვეყნები, როგორიც, მაგალითად, ჰოლანდია, შეიძლება პირველთა რიცხვში აღმოჩნდნენ.

აშკარად შიშობენ რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეები სამხედრო ბლოკებში გაილაშქრებენ ამერიკის პოლიტიკის წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში, ამერიკის პრესის მთელი რიგი ორგანოები, არსებითად აფრთხილებენ მთავრობას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ თავიანთი ძველი აგრესიული პოლიტიკის განხორციელებით ამერიკის შეერთებული შტატები კრახს განუმზადებენ მთელ თავიანთ პოლიტიკურ კურსს აზიაში. ამ მხრივ საგულისხმოა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" განცხადება, რომელიც მოუწოდებს „გაიგონ" ინგლისის გადაწყვეტილების აზრი. გაზეთის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების იმ ცდებმა, რომ „დაბრკოლებები" შეუქმნან სხვა ქვეყნების ნაბიჯებს, რომელთა მიზანია ჩინეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია, შეიძლება გამოიწვიონ უთანხმოების გაძლიერება, რაც „ზიანს მიაყენებს" სამხედრო ბლოკების სისტემას, რომლებსაც, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა ეყრდნობა.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მთელი რიგი წევრები, ისწრაფვიან რა იხსნან ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ახალი დამარცხებისაგან, მოითხოვენ გადაისინჯოს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა აზიაში და, კერძოდ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ. კერძოდ, სენატორმა სმაზერსმა აზრი გამოთქვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თვითონ დაიწყონ ვაჭრობა ჩინეთთან.

ჟურნალი „ბიზნეს უიკი" აღიარებს, რომ შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის დამარცხებამ განხეთქილება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ წრეებში. „ერთი ჩინეთის" პოლიტიკის მომხრენი (ე. ი. ისინი, ვინც მტკიცედ ეწინააღმდეგება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობას და მხარს უჭერს ჩანკაიშელებს. — რედ.) როგორც მთავრობაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, იძულებული არიან თავდაცვაზე გადავიდნენ". მეორე პოლიტიკის, ე. ი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაწილობრივი ცნობის მომხრენი „ძალას იკრებენ", შენიშნავს ჟურნალი. ჟურნალის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატები დგანან იმის საჭიროების წინაშე, რომ „შეარბილონ თავიანთი პოზიცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის მიღების საკითხში".

სალ მსჯელობასთან ერთად ამერიკის პრესაში არ წყდება გაბოროტებული გამოსვლები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, რაც იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები არ აპირებენ ხელი აიღონ თავიანთ აგრესიულ კურსზე, რომელიც დაძაბულობას ქმნის შორეულ აღმოსავლეთში.

საგულისხმოა გაზეთ „დეილი ნიუსის" განცხადება, რომელიც, აღიარებს რა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის მარცხს, ამავე დროს მოითხოვს „ყველა კომუნისტურ მთავრობასთან ვაჭრობაზე სრულ ემბარგოს". ამერიკის შეერთებული შტატების იმ განზრახვას, რომ კვლავაც სრულად გამოიყენოს ტაივანი როგორც თავისი ბაზა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიული განზრახვის განსახორციელებლად, მოწმობს ტაივანზე ამერიკის სამხედრო „მრჩეველთა" ხელმძღვანელის გენერალ-მაიორ ბოუენის განცხადება, რომელიც მოთავსებულია გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში". იგი მოითხოვს, რომ ამ მრჩეველთა ჯგუფი „კი არ შემცირდეს, არამედ გადიდდეს".

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

## ს პ ო რ ტ ი ს ა მ ბ ე ბ ი

### დამთავრდა ევროპის პირველობა კრივში

პრაღა, 2 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ აქ დამთავრდა ევროპის მე-12 ჩემპიონატი კრივში.

ევროპის ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: მ. ჰომბერგი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ო. გრიგორიევი (სსრ კავშირი), დ. ველიჩკოვი (ბულგარეთი), კ. პაზძიორი (პოლონეთი), ვ. ენგიბარიანი (სსრ კავშირი), მ. გრაუსი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), დ. ბენვენუტი (იტალია), ზ. პეტშიკოვსკი (პოლონეთი), გ. ნეგრეა (რუმინეთი) და ა. აბრამოვი (სსრ კავშირი).

საბჭოთა კავშირის გუნდმა ევროპის ამ ჩემპიონატში დიდი წარმატება მოიპოვა. გრიგორიევის, ენგიბარიანისა და აბრამოვის გარდა, რომლებმაც მოიპოვეს ევროპის 1957 წლის ჩემპიონების ოქროს მედლები და ოქროს სარტყლები, საბჭოთა მოკრივეები ვ. საფრონოვი, ა. გრომოვი და ი. სობოლევი დაჯილდოებული არიან ბრინჯაოს მედლებით. საბჭოთა სპორტსმენებმა მოაგროვეს ყველაზე მეტი ქულა ჩემპიონატის მონაწილე 21 ქვეყნის გუნდებს შორის.

ვ. ენგიბარიანს, რომელმაც მეორედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება და ტექნიკის მხრივ აღიარებულია ამ შეჯიბრების საუკეთესო მოკრივედ, გადაეცა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ვ. შიროკის ბროლის თასი.

### მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

სტამბოლი, 2 ივნისი. (საკდესი). გუშინ სტამბოლში „მიხათ-ფაშას" სტადიონზე დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. უმჩატესი წონის მ. ცალქალამანიძემ ქულებით აჯობა ბულგარელ ჯენდოვს და დასცა პოლონელი კლეინი. თურქმა კარტალმაც დასცა კლეინი. მჩატე წონის ვ. არსენიანმა ქულებით აჯობა უნგრელ ფუსიკს და ფრე გააკეთა ბულგარელ დიმოვთან; თურქმა აკბასმა დასცა დიმოვი და ავსტრიელი ტუში.

დანარჩენ წონით კატეგორიებში ერთი წრე გათამაშდა. ქვემსუბუქი წონის ნ. მუშეღიანმა ქულებით აჯობა ავსტრიელ კრემსერს; თურქმა დაღისტანლიმ დასცა იტალიელი ფასკლანი. მსუბუქი წონის ა. ბესტაევმა 1 წუთსა და 15 წამში სარმით დასცა პინეა. ქვესაშუალო წონის ვ. ბალავაძემ ასეთივე ილეთით დასცა პოლონელი ქივჩიკი 7 წუთში; ოგანმა (თურქეთი) ამ წონაში აჯობა იტალიელ ნიცოლას.

საშუალო წონის გ. სხირტლაძემ პარტერში ჰიდაობის ხალიჩაზე დადო შვეიცარიელი იზენშმიდი; ბულგარეთის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნიკოლოვმა ქულებით აჯობა პოლონელ სიგორავიჩს; თურქმა გიუნგერმა მცირე უპირატესობით აჯობა გერმანელ სტერს.

ქვემძიმე წონის ბ. კულაევმა აჯობა ირანელ ნურის; თურქმა ათლიმ დასცა იაპონელი იამაძაკი. უნგრელ გურიჩისა და ბულგარელ სირაკოვის შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

მძიმე წონის თურქმა ყაფლანმა 9 წუთსა და 45 წამში დასცა იტალიელი მარესკალკი. გერმანელმა დიტრიხმა აჯობა ირანელ ფახტის. ა. ვიხრისტიუკი თავისუფალი იყო.

### საერთაშორისო შეხვედრები ფეხბურთში

ლენინგრადი. 2 ივნისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ინგლისის კლუბის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" გუნდი შეხვდა ლენინგრადის „ზენიტს". ასპარეზობა ხასიათდებოდა საინტერესო ბრძოლით და დამთავრდა ფრედ 1:1.

თეირანი, 2 ივნისი. (საკდესი). დღეს თბილისის საოლქო სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა გუნდი თამაშობდა ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების ფეხბურთელებთან. თამაში დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისის გუნდის სასარგებლოდ.

### თბილისის გუნდი — საქართველოს ჩემპიონი

2 ივნისი ცხენოსნობაში საქართველოს 1957 წლის პირად-გუნდური პირველობის გათამაშების უკანასკნელი დღე იყო.

მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა გარდამავალი ჯილდოს მოსაპოვებლად დაბრკოლებათა გადალახვაში. მოედანზე განლაგებული იყო 15 სხვადასხვა წინაღობა. გუნდურ ასპარეზობაში თანდათან ცხადი გახდა გუდაუთელთა უპირატესობა. მათ საუკეთესო მხედრებთან ერთად კარგად გაწვრთნილი ცხენები ჰყავდათ. ამ გუნდს არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია და პირველი ადგილი დაიკავა.

პირად ჩათვლაში სამ მხედარს — პონომარენკოს (გუდაუთი), კუზმინს (სოხუმი) და არძინბას (გუდაუთი) არც ერთი საჯარიმო ქულა არ ჰქონდა. ჩემპიონის გამოსავლინებლად მოეწყო დამატებითი შეჯიბრება 6 წინაღობის გადალახვაში. ამ ასპარეზობაში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა სოხუმის გუნდის წარმომადგენელი კუზმინი.

სტარტზე განლაგდა დაბრკოლებებით 4.000 მეტრზე დოღში მონაწილე 5 ცხენოსანი. ბრძოლა უკანასკნელ წრემდე ჩამბას (გუდაუთი), დარასელიას (ზუგდიდი) და ხაინდრავას (სოხუმი) შორის მიმდინარეობდა. ფინიშთან დარასელიამ ოსტატურად გაუსწრო მოწინააღმდეგეს და პირველი ადგილი დაიკავა.

ამის შემდეგ მოეწყო დოღი 3.000 მეტრზე. ამ ასპარეზობაში მონაწილეობას იღებდნენ უძლიერესი ცხენოსნები, რომლებმაც წინა დღეების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს. სამივე საპრიზო ადგილი დაიკავეს თბილისელმა სპორტსმენებმა — ჰითავამ, კალმახელიძემ და გირუნმა.

დასასრულ გაიმართა შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში (უმაღლესი კლასი) და მარულაში 10 კილომეტრზე.

მარულის დაწყებისას მასში მონაწილეობას იღებდა 7 ცხენოსანი. ფინიშთან კი მხოლოდ ორი მივიდა. ესენი იყვნენ მანჯავიძე (თბილისი) და აიბა (გუდაუთი). გაიმარჯვა მანჯავიძემ (ცხენი „საგა").

ამრიგად, მიმდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთი მასობრივი და საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა. გამოვლინდნენ ახალი ჩემპიონები. საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ცხენოსანთა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდა გუდაუთის გუნდი, მესამეზე — ზუგდიდის გუნდი.

გამარჯვებულ სპორტსმენებსა და გუნდებს საზეიმოდ გადაეცათ ჯილდოები.



სურათზე: საქართველოს 1957 წლის ჩემპიონი ცხენოსნობაში — თბილისის გუნდი.

## დ ღ ე ს
## თბილისის კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — სომხური კინოფილმების ფესტივალი, **ამირანი** (საზამთრო) — პროლოგი, **ამირანი** (საზაფხულო), **ოქტომბერი** (საზაფხულო), **თბილისი, საქართველო** (წითელი დარბაზი)— მაძიებელნი, **ოქტომბერი** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — პოლესიური ლეგენდა, **სპარტაკი** — მეშვიდე ცა, **კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი, დიდუბე** (საზაფხულო), **ყაზბეგი** — განუმეორებელი გაზაფხული, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ტორჟოკელი თერძი, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო) — ეკატერინე ვორონინა, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ტყუპთა ოინები, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი, ვაკის პარკი**— მღერის ივ მონტანი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, კოლმეურნე, დიდუბე** (საზამთრო) — ილია მურომეცი.


**თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური საკვლევი-სამეცნიერო ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს სინოპტიკური გამოკვლევებისა და პროგნოზების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე (მეცნიერების დოქტორი ან კანდიდატი).

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებისა და ხარისხში დამტკიცების სათანადოდ შემოწმებული პირები, დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ.

კონკურსის ვადაა 1 თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 150.


## ტელეგადაცემათა პროგრამა

**4 ივნისისათვის**

20.00 — კუპრინის ინსცენირებული მოთხრობის „მეგობრობის" დადგმა. (მონაწილეობენ მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობები დორონინი, ფედოროვსკი და სერგეევი); 20.20 — ახალი მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი ზაფხული".


გრიგოლ, მარიამ, ნიკოლოზ, ოლია სოხაძეები, ნიკოლოზ, პარასკევა, რაისა, ტასია თევდორაშვილები ოჯახებით იუწყებიან **ზურაბ ლონგინოზის-ძე თევდორაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-VI სოფ. პატარა ონში (ამბროლაურის რ.).

შვილები ლუბა, თამარ, მიტო, რძლები ეკატერინე, ქეთო ქავთარაძე, ელენე; ლევან, ლალი, თამაზ, სერგო ჩხეიძეები იუწყებიან **ელისაბედ ზებედეს ასულ ჩხეიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-VI სოფ. ვარძიაში (ორჯონიკიძის რ.).

საქართველოს თეატრალური საზოგადოება იუწყება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის **თეიმურაზ აპოლონის-ძე ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-VI ქუთაისში, გამოსვენება თეატრის ძველი შენობიდან.

შვილი ვახტანგ, რძალი ელენე; რევაზ, მერი, ელვარე, ქეთო ებანოიძეები იუწყებიან **სოფიო იოსების ასულ ებანოიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-VI სოფ. ძირულაში (ზესტაფონის რ.).

მეუღლე ნინო, შვილები ფირუზა, კუკური, რძალი ეველინა ქერქაძე, სიძე დიმიტრი გულისაშვილი შვილებით იუწყებიან **გედეონ თეოფანეს-ძე კაჭარავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-VI, 8 ს. გამოსვენება 6-VI, 5 ს. კიევის ქ. № 6.

დედა ესმა, დები ბარბარე, სარა, ასმათ, მარიამ, ანა ლლონტები, სიძე მ. ჩხაიძე იუწყებიან **მინადორა მიხეილის ასულ ლლონტის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-VI ლანჩხუთში.

მოქალაქე **მარიამ გაბრიელის ასულმა გაზნელიშვილმა**, მცხოვრებმა რიჟინაშვილის ქ. № 15, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ყუზერა ისაკის-ძე გაზნელიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ვენერა ანდროს ასულმა ფაშიაშვილმა**, მცხოვრებმა ქ. თბილისში, პლეხანოვის პროსპ. № 151, აღძრა საქმე ქ. გორში, ლომონოსოვის ქ. № 5 მცხოვრებ მოქალაქე **გიორგი გიორგის-ძე ანანიაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ლუბა, შვილები ლარისა, სვეტლანა ოჯახებით, დები ვალენტინა, ელენე იუწყებიან **დავით ილარიონის-ძე ბოლქვაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 4-VI, 6 ს. გრიბოედოვის ქ. № 25.

მეუღლე მარიამ, შვილები ნიკოლოზ, სოფიო, გიორგი, გურამ, ქენია, გრამიტონ, სიძე ი. ლომაძე ოჯახებით იუწყებიან **ლავრენტი ოქროპირის-ძე კილაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-VI სოფ. მამათში (ლანჩხუთის რ.).

მეუღლე ქრისტინე, შვილები ქსენია, ემა, თამარ, დავით, ოთარ, რძალი დოდო, სიძეები ა. ქობალავა, დ. გაბელაია, შ. ხვადაგიანი ოჯახებით იუწყებიან **კონსტანტინე მარკოზის-ძე ჩიჩიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-VI დაბა აბაშაში, გამოსვენება ბინიდან, გეგეჭკორის შესახვ. № 41.

და ლიდა; ლივალი, ჯემსონ აბზიანიძეები იუწყებიან **ბაბილინა პავლეს ასულ შიპალოვას** გარდაცვალებას. გამოსვენება 4-VI, 6 ს. ნიკო ნიკოლაძის ქ. № 1.

შვილები ქსენია, შურა, აპოლონ, ჯაბილო, რძლები კირა, თამარ, ლოლა, სიძე ა. დანგაძე შვილებით იუწყებიან **ტარას ნიკიფორეს-ძე კინწურაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-VI სოფ. წყალტუბოს მეორე უბანში (წყალტუბოს რ.).



რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის—3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი — 3-72-80, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 02242 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.